პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 162 (4156)

1970 წ. 19 აგვისტო, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



## შერეულ წყვილებშიც!

მოსკოვი, 18 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ მოსკოვის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში ა. მეტრეველმა მოიგო ფინალური ბრძოლები ერთეულთა და ვაჟთა წყვილების თანრიგებში. და აი, მესამე გამარჯვებაც: გუშინ ა. მეტრეველმა და მოსკოველმა ო. მოროზოვამ შერეულ წყვილთა ფინალში დაამარცხეს ესტონელები ტ. პარმასი და თ. ლეიუსი — 2:6, 6:4, 6:3.

ამგვარად, ა. მეტრეველმაც და ო. მოროზოვამაც გაიმეორეს ახლახან სოფიაში გამართულ ევროპულ ჩემპიონატში მოპოვებული წარმატება: ორივე სპორტსმენი მოსკოვშიც აბსოლუტური გამარჯვებული გახდა.

ახლა ამ ორ ჩოგბურთელს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოუწევს გამგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ამ ქვეყნის ღია ჩემპიონატში. როგორც წესი, აშშ-ს ღია ჩემპიონატებში თამაშობენ მსოფლიოს გამოჩენილი ჩოგბურთელები, მათ შორის, პროფესიონალებიც.

* * *

სურათზე: ა. მეტრეველი თამაშის დროს.

ი. პახომოვის ფოტო. („ტრუდი“).

## 47 სანტიმეტრით

კიევი, 17 აგვისტო (ტელეფონით). აქ გაიმართა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში, რომლის მონაწილენი ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. საქართველოს სპორტსმენები მეორე ჯგუფში ასპარეზობდნენ და საერთო გუნდურ ჩათვლაში III ადგილი დაიკავეს: ლიტვისა და ლატვიის კოლექტივებს ჩამორჩნენ.

საქართველოს მძლეოსნებმა პირად შეჯიბრებაში რამდენიმე საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს. სამხტომში ვ. სანეევის გამარჯვებაზე უკვე ვიტყობინებოდით. სიგრძეზე ხტომაში მან III ადგილი დაიკავა (767 სმ).

ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი გახდა უროს მტყორცნელი კ. გორძამაშვილი — 77,90 მ.

400 მეტრზე თარჯრბენში II ადგილზე გავიდა ი. კოზელსკი — 52,0.

III ადგილები მოიპოვეს: 110 მეტრზე თარჯრბენში — ი. დიაჩკოვმა (14,6), ბადროს ტყორცნაში — გ. გუდაშვილმა (54,82).

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ჯ. ფხაკაძემ ურო 62,35 მეტრზე ტყორცნა და 47 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე რესპუბლიკური რეკორდი. ფხაკაძე V ადგილზე გავიდა.

## საზღვარგარეთი

● მოსკოვი, 17 აგვისტო. აკადემიურ ნიჩბოსნობაში უძლიერესი საბჭოთა ოსტატი ქალების ნავები უკვე რამდენიმე დღეა ავტომობილებზე „ამხედრებულან“ და ევროპის გზებზე მიდიან — უნგრეთის ქალაქ ტატასკენ უჭირავთ გეზი. აქ 20-23 აგვისტოს ქალთა ევროპული ჩემპიონატი გაიმართება. დღეს კი უნგრეთში წავიდა სსრ კავშირის ნაკრები, ცხადია, არა ავტომანქანებით, არამედ თვითმფრინავით. გუნდის შემადგენლობაშია ქვეყნის ყველა წლევანდელი ჩემპიონი. საბჭოთა ნიჩბოსან ქალებს კონტინენტის ჩემპიონის სახელის შენარჩუნებისთვის 3 სახეობაში მოუწევთ ბრძოლა: ერთმოსასმელიანებში (გ. რამოშკენე-შიდაგიტე), წყვილმოსასმელიან ოთხიანებსა (სსრ კავშირის ნაკრები) და გასაშლელ ოთხიანებში (ნოვგოროდის „სპარტაკი“). წლევანდელ ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი 17 ქვეყნის წარმომადგენლებმა განაცხადეს.

● ზაპოროჟიე, 17 აგვისტო. მოფარიკავეთა 33-ე საკავშირო ჩემპიონატის მედლების ბოლო კომპლექტი შეიარაღებული ძალების დაშნით მოასპარეზეთა გუნდს ხვდა წილად. ოქროს მცირე მედლები გადაეცათ ვ. მოძოლევსკის, ს. პარამონოვს, გ. კრისს, ო. ანიკინსა და ი. ვალეტოვს. II ადგილი დაიკავეს დინამოელებმა, III — ბურევესტნიკელებმა. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში სსრ კავშირის მოფარიკავეთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ლ. საიჩუკმა განაცხადა: „ჩვენი საუკეთესო მოფარიკავეების გენერალური დათვალიერება დამთავრდა. ამ ტურნირის ბევრი მონაწილე სტუდენტია და მათგან უძლიერესებს მსოფლიო უნივერსიადაში (იტალია) მოუწევთ „საშემოდგომო გამოცდის“ ჩაბარება. ჩემპიონატმა ახალგაზრდობის შეტევის ნიშნით ჩაიარა, მაგრამ გუნდში თაობათა ცვლა თანდათან მოხდება. ჩვენ შევეცდებით, რომ ამ პროცესმა უმტკივნეულოდ ჩაიაროს“.

● ბუქარესტი, 17 აგვისტო. რუმინეთის დედაქალაქის „რესპუბლიკის“ სტადიონზე დამთავრდა ბალკანეთის ქვეყნების მძლეოსანთა ტრადიციული შეჯიბრება. გუნდურ ჩათვლაში, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის, გაიმარჯვეს ტურნირის მასპინძლებმა. ბალკანიადის ახალი რეკორდით აღინიშნა ქალთა ასპარეზობა ბირთვის კვრაში — ბულგარელმა ი. ხრისტოვამ ეს იარაღი 17,82 მეტრზე გაგზავნა. მისი თანამემამულე ი. ვენკოვა პირველი იყო 200 მეტრზე რბენაში — 23,9. მეორე გამარჯვება, ამჯერად, 1500-მეტრიან დისტანციაზე იზეიმა იუგოსლაველმა ვ. ნიკოლიჩმა — 4.20,4. სიმაღლეზე მხტომელ ქალთა შორის გამართულმა მწვავე ბრძოლამ მაღალი შედეგებიც მოგვიტანა: გამარჯვებულმა, 19 წლის კ. პოპესკუმ (185 სმ) გადალახა. მეორე იყო იუგოსლაველი ს. ხრეპევნიკი. მისი შედეგი — 183 სმ — ახალი ეროვნული რეკორდია. ვაჟებში მეორე გამარჯვებას მიაღწია ი. კარაჩიმ (იუგოსლავია) — 200 მ მან 21 წამში გაირბინა. რუმინელმა ტ. პუიუმ მოიგო 400 მეტრზე ფინალური გარბენი — 46,5, ხოლო ბერძენი ქ. პაპანიკოლაუ უძლიერესი იყო ჭოკით ხტომაში — 540 სმ. სამხტომში თავი გამოიჩინა რუმინელმა კ. კორბუმ (16,65 მ), ხოლო ბირთვის კვრაში იუგოსლაველმა ი. ივანჩიჩმა (18,54 მ — ბალკანეთის ქვეყნების ახალი რეკორდი).

● ვეკხე, 17 აგვისტო. შვეციის მძლეოსანთა აქ გამართულ ჩემპიონატში 200 მეტრზე რბენა მოიგო კ. ლიუნდგრენმა — 23,3. ეს ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია წლეულს ევროპაში. ე. რანდერსის დროა 23,7. ლიუნდგრენმა ყველას აჯობა 400 (53,4) და 100 მეტრზე (11,7) რბენაშიც. ვაჟთა შორის აღსანიშნავია რ. პიხლისა (შუბი — 81,02 მ) და კ. ლიუნდმარკის (სიმაღლეზე ხტომა — 214 სმ) შედეგები, აგრეთვე, რ. ბრუხის გამარჯვებები ბირთვის კვრასა (18,68 მ) და ბადროს ტყორცნაში (58,68 მ). 400 მეტრზე რბენაში იმარჯვა მ. ფრედრიქსონმა (47,0), ხოლო 110 მეტრზე თარჯრბენში — ბ. ფორსანდერმა (14,2).

● ბუენოს-აირესი, 17 აგვისტო. არგენტინის დედაქალაქში დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. პირველი პრიზი ბრწყინვალე შედეგით მოიხვეჭა ამერიკელმა დიდოსტატმა რ. ფიშერმა — 15 ქულა 17-დან! II ადგილზეა ახალგაზრდა საბჭოთა ოსტატი ვ. ტუკმაკოვი — 11,5 ქულა. ტუკმაკოვმა ბევრად გადააჭარბა საერთაშორისო ოსტატის წოდების მისაღებად დანიშნულ ნორმას და გაუსწრო ბევრ ცნობილ დიდოსტატს: ო. პანოსა და მ. ნაიდორფს (ორივე — არგენტინა), ს. რეშევსკის (აშშ), ფ. გეორგიუს (რუმინეთი), ვ. სმისლოვს (სსრ კავშირი) და სხვ. III ადგილზეა პანო — 11 ქულა. სმისლოვი 9 ქულით VII ადგილზეა.

## შვიდი ახალი დამსახურებული ოსტატი

17 მედალი (მათ შორის, ოქროს 4) მოიპოვეს სსრ კავშირის ველოსიპედისტებმა ლესტერის მსოფლიო ჩემპიონატში (საგზატკეცილო რბოლებსა და ტრეკზე).

ამ პირველობაში დიდი წარმატებისთვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭა 20 წლის ლენინგრადელ ვ. ცარიოვას და 24 წლის ტულელ თ. გარკუშინას (ტრეკი). ამათ გარდა, ეს საპატიო წოდება მიენიჭათ: 23 წლის ლენინგრადელ ა. კონკინას (გზატკეცილი) და გუნდურ საგზატკეცილო რბოლაში გამარჯვებულებს — 22 წლის ჩებოქსარელ ვ. იარდის, 23 წლის ნალჩიკელ ბ. შუხოვს, მის გორკელ თანატოლს ვ. ლიხაჩოვს და 31 წლის ომსკელ ვ. სოკოლოვს.

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები გახდნენ ვ. კაპიტონოვი (მოსკოვი), ლ. ჟივოდიოროვი, ი. ხაუილიევი (ორივე — ომსკი).

გუშინწინ ლესტერიდან დაბრუნებული ველოსიპედისტები მიიღო ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მშენებელთა სპარტაკიადა

აფხაზეთის № 6 სამშენებლო ტრესტის გაერთიანებული ფიზკულტურული კოლექტივის სპარტაკიადის პროგრამაში 7 სახეობა იყო. ასპარეზობაში ჩაება „საქქალაქმშენსახპროექტის“, „საქსოფლმშენსახპროექტის“, №№ 1, 2, 3, 5 სამშენებლო სამმართველოების, „საქსანტექმონტაჟის“, № 45 პროფტექსასწავლებლის და სხვა კოლექტივების 300-მდე სპორტსმენი.

წარმატებით იასპარეზა „საქქალაქმშენსახპროექტის“ კოლექტივმა, რომლის წარმომადგენლებმა I ადგილები მოიპოვეს მაგიდის ჩოგბურთში, კალათბურთსა და ცურვაში. მძლეოსნურ კროსში იმარჯვა № 45 პროფტექსასწავლებლის კოლექტივმა, ფეხბურთსა და ტყვიის სროლაში ჩემპიონები გახდნენ საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებების კომბინატის წარმომადგენლები, ჭადრაკში — № 3 სამშენებლო სამმართველოს სპორტსმენები.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა „საქქალაქმშენსახპროექტის“ ნაკრებმა — 71 ქულა. II ადგილი დაიკავეს № 2 სამშენებლო სამმართველოს ფიზკულტურელებმა (65 ქულა), III — საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებების კომბინატის წარმომადგენლებმა (59 ქულა).

გ. იაშვილი. (ჩვენი კორ.).

სოხუმი.

## ჩვენს დიდ ქვეყანაში

### აფრა... ყინულებში

ნორილსკი, 17 აგვისტო. „პინგვინი“ გავიდა ლაპტევის ზღვაში, — შვერტბოტის ქიმიდან რადიოთი აცნობა ნორილსკის დოსააფის რადიოკლუბს შორეული ნაოსნობის კაპიტანმა ა. იანცელევიჩმა. ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი ნაპირისკენ ერეკება ყინულებს და შვერტბოტი იძულებულია წარამარა თავი აარიდოს მათ. ასე დაიწყო ნორილსკიდან ტიქსიში მოგზაურობის უკანასკნელი და ყველაზე რთული ეტაპი.

სირთულე კი ისედაც ბევრი გახლდათ... ტაიმირის ნახევარკუნძულის მდინარეებსა და ტბებში მამაცმა სპორტსმენებმა ოთხი მეჩეჩი გადაიარეს ათასზე მეტი კილომეტრის საერთო სიგრძით. სწორედ მეჩეჩის გადალახვისას დაზიანდა ხაჭე და, მაინც, მოლაშქრეები ხატანგის ნავსადგურში დანიშნულ დროზე ერთი დღით ადრე ჩავიდნენ.

ამ საქმით საქმე არ ამოწურულა: ხატანგის ყურეში ძლიერი ღელვის დროს შვერტბოტში წყალმა გაჟონა. სპორტსმენებმა ეს დაზიანებაც შეაკეთეს და აფრა ააფრიალეს.

ლაპტევის ზღვა „პინგვინის“ მეშვიდე ზღვაა. რიგაში ტიქსინის ტყის მასალისგან ათი წლის წინათ აგებულმა შვერტბოტმა უკან მოიტოვა მდინარეების, ტბებისა და ზღვების 25 ათასი კილომეტრი, მათ შორის, აზოვის, შავი, ბალტიის, თეთრი, ბარენცისა და კარის ზღვები...

მდინარე ლენის შესართავში, სადაც ხომალდი მალე მივა, პოლარულ ხადგურ სტოლბში კაპიტანი ა. იანცელევიჩი შეხვდება თავის ვაჟს ალექსანდრეს — ახალგაზრდა ტექნიკოს-ოკეანოლოგს. ადრე ისინი ერთად ცურავდნენ იახტაზე.

საქტაგი მოგვითხრობს

## $20^{45}$

◆ ლენინგრადი, 18 აგვისტო. შესაშური სპორტული სტაბილურობით გამოირჩევა წლევანდელ სეზონში 25 წლის ლენინგრადელი მძლეოსანი გ. ვოიკინი. ქალაქის ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებაში ვოიკინმა ბირთვი 18 მეტრსა და 46 სანტიმეტრზე ჰკრა (წლეულს მეორე შედეგია სსრ კავშირში). შემდეგ კი ფინალში მან თავის შედეგს კიდევ 6 სმ წაუმატა.

## დღეს ნომერშია:

ისევე, როგორც სოფიაში

ქართველი მთამსვლელები — ოქტომბრის პიკზე

ფალი — საჟონი და სხვები...

ჭიდაობას რა უნდა!..

# 7 დღე კედელზე

15 აგვისტოს ღამით ქართველ მოსიმაღლე მთამსვლელთა პამირის ექსპედიციის ძირითად ბანაკში გამარჯვების მაშხალა გავარდა. დადუმებულ მთებს აღტაცებული შეძახილებისგან გაელვიძათ. ქართული სიმღერები ბანს აძლევდნენ საზეიმო განწყობილებას. ზეიმობდა მთელი ბანაკი და საამისო საფუძველიც იყო... მაგრამ ზეიმი თავისთავად ხომ არ მოსულა. ათ დღეს ცხოვრობდა ბანაკი დაძაბულად, ათ დღეს არ ჰქონდათ ნორმალური ძილი: ხუთი ქართველი მთამსვლელი ოქტომბრის პიკს (6800 მ) უტევდა, თანაც, ახალი ურთულესი გზით — კილომეტრნახევრიანი კედლით უტევდა.

ყველა მთელის გულისყურით ადევნებდა თვალს საიერიშო ჯგუფის სვლას, მის ყოველ ნაბიჯს, ყოველ მოძრაობას.

რთულ გზაზე მუდამ მოსალოდნელია დაბრკოლებანი და, პირველ ყოვლისა, უამინდობა. თავდაპირველად კარგმა ამინდმა მოიერიშეები ასვლისთვის გაიტყუა, მაგრამ სულ მალე, თითქოსდა მოიერიშეთა ხიმამაცისა და მედეგობის გამოსაცდელად, ცა მოიქუფრა და ლამაზი მწვერვალი სქელი ღრუბლებით დაიფარა. გლუვი, გაყინული კედელი, ხშირი ზვავი, ქვაცვენა, გრიგალისებური ქარი გადაულახავ ზღუდედ აღიმართა მოიერიშეთა წინაშე, მაგრამ ორგანიზებულობამ, შედუღაბებამ, ნებისყოფამ, მაღალმა ოსტატობამ და გამარჯვების მტკიცე სურვილმა თავისი გაიტანა. ქართული მთამსვლელობის ისტორიაში 1954 წლის შემდეგ პირველად განხორციელდა სარეკორდო კლასის სასიმაღლო ტექნიკური ასვლა.

მაგრამ დავუბრუნდეთ 4 აგვისტოს, როცა ძირითადი ბანაკიდან ოქტომბრის ყინვარის მისადგომებთან საიერიშოდ გავიდა ჯგუფი დ. შარაშენიძის (კაპიტანი), რ. გიუტაშვილის, გ. წერედიანის, თ. ბერიშვილის და ნ. ნემსიწვერიძის შემადგენლობით. მათ ახლდათ მეთვალყურეთა ჯგუფი (ნ. და ზ. ბაქრაძეები, გ. როსტომაშვილი, გ. ნანუმოვი) და კინოოპერატორები ი. კრეპსი და ვ. ერმაკოვი.

5 აგვისტოს ჯგუფმა 5300 მეტრის სიმაღლეზე საიერიშო ბანაკი დასცა, ხოლო ორი დღის შემდეგ შეტევაზე გადავიდა.

აი, ამონაწერები შარაშენიძის დღიურიდან.

6 აგვისტო. საიერიშო ჯგუფის წევრები მეთვალყურეებთან ერთად ყინვარზე ვართ. კვლავ თოვს. ამინდის პროგნოზის გათვალისწინებით, იერიში ხვალისთვისაა დანიშნული. მიმდინარეობს უკანასკნელი სამზადისი. ვამზადებთ კედლის საიერიშო აღჭურვილობას. კარგ ხასიათზე ვართ. ეს ყველაზე მეტად ჩვენში ყველაზე ახალგაზრდა ნ. ნემსიწვერიძეს ეტყობა, რაც გუნებგანწყობას კიდევ უფრო გვიმაღლებს.

7 აგვისტო. მზის პირველი სხივების ამოსვლისთანავე ვუახლოვდებით კედლის მისადგომს. პირველი მეტრები, პირველი კაუჭები... იერიში დაიწყო. პირველი სერიოზული დაბრკოლება ფხვიერი კლდეა: კაუჭები ცუდად მაგრდება, დაზღვევაც გართულებულია. კედლის დახრილობა მატულობს. ასეთ კლდეებზე წინმავალის დიდი გამოცდილებაა საჭირო. ჩემი აზრით, ამას სხვებზე უკეთ წერედიანი შეძლებს. წინ მას ვუშვებთ.

ამასობაში გაშუადღევდა. ამინდი გაფუჭდა, წინასწარ დასახული ღამისთევის ადგილამდე ჯერ კიდევ შორსაა.

...ბევრი ოფლი ვღვარეთ, სანამ ფერდობზე კარავს გავშლიდით.

8 აგვისტო. კვლავ თოვს. კედლის დახრილობა მატულობს. საჭიროა წინმავალის განტვირთვა—ყოველი ჩვენგანი მორიგეობით „ლიდერობს". ამინდი ჭირვეულობს. საჭირო ხდება თოვლისგან მოსაჭიდის გაწმენდა. სუნთქვა ჭირს, სიმაღლე თავის სიტყვას ამბობს.

9 აგვისტო. გამოიდარა. გავდივართ წინასწარ ჩამოკიდებულ თოკებზე. უნდა გადავლახოთ ვიწრო კულუარი, მაგრამ ზვავი ზვავზე მოდის სწორედ ამ კულუარზე. წინსვლა სახიფათოა. გადავწყვიტეთ დაგვეცადა, სანამ ზვავი გათავდებოდა.

10 აგვისტო. ალიონზე გაგვეღვიძა. ფრთხილად გავდივართ სახიფათო კულუარს, რათა ზვავს დავასწროთ. გადალახულია კიდევ ერთი დაბრკოლება! საღამოს 9 საათია: კავშირის დრო. ჩვენი სიგნალის საპასუხოდ ბურუსში გაიკიაფა მწვანე მაშხალამ და ჩვენც ვგრძნობთ, რომ მარტო არა ვართ.

11 აგვისტო. ბურუსია. თოვლის ფიფქები სახეში [illegible] და [illegible] — გზა მწვერვალისკენ. [illegible] ში გაფრინდა დღე. დროა კარავი გავშალოთ, მაგრამ საამისოდ ცოტაოდნად შესაფერისი ადგილის პოვნა ძნელია. ბნელდება. გაგვიმართლა, თორემ, ვინ იცის ღია ცის ქვეშ ყოფნა მოგვიწევდა.

12 აგვისტო. მთელი ღამე ქარბუქი მძვინვარებდა. ყინავდა. თითქმის არც ერთს არ გვძინებია. მარშრუტზე გვიან გავედით. მხოლოდ 4 საათი ვუტევდით — წინადღის დაღლილობა დაგვეტყო.

13 აგვისტო. კედელმა მთის თხემზე გაგვიყვანა. ჩრდილოეთით გადმოკიდულია უშველებელი კარნიზები, მწვერვალამდე ხელის გაწვდენაღა გვაკლია. მაგრამ კიდევ ბევრი ჯაფა დაგვადგა. უკანასკნელი მონდომება და აი, 12 საათზე მწვერვალზე ვართ! საინტერესო დამთხვევაა: მოვხსენით მთამსვლელთა ნაკრები გუნდის წერილი, რომელიც იქ 1964 წლის 13 აგვისტოს დაუტოვებიათ. მათ თავის მხრივ უნახავთ წერილი, რომელიც 1960 წელს, ასევე 13 აგვისტოს დატოვეს ქართველმა მთამსვლელებმა.

დ. გედენიძე.

(დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).

ოქტომბრის ყინვარი,

პამირი.

მხატვრულ ტანვარჯიშში გამართული შეჯიბრებები დიდძალ მაყურებელს რომ იზიდავს, ეს სპორტის ამ წარმტაცი სახეობის პოპულარობაზე მეტყველებს. უფრო მეტიც: თვით სპორტსმენებიც კი შეჯიბრებიდან თავისუფალ დროს თავიანთი კოლეგების გამოსვლებს დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს, ცდილობენ ჩაწვდნენ ამა თუ იმ მეტოქის არტისტიზმისა და ოსტატობის საიდუმლოებას. ამ სურათზე სწორედ ამგვარი მომენტია აღბეჭდილი. აჭარის მოსწავლეთა ნაკრები გუნდის წევრები (მათ საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაში II საპრიზო ადგილი დაიკავეს) დიდი ყურადღებით უყურებენ მეტოქე გუნდის გამოსვლას.

ა. კოტორაშვილის ფოტო.



# თავდადებული, მუყაითი შრომით

14 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ზუგდიდის № 176 საარჩევნო ოლქის მშრომელებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს, ენგურჰესის მშენებლობის მოწინავე გვირაბგამყვანს შუქრი აბაკელიას.

რით დაიმსახურა 25 წლის ახალგაზრდამ ხალხის ასეთი ნდობა? პირველ ყოვლისა, თავდადებული, უანგარო, მუყაითი შრომით. საბჭოთა არმიიდან დაბრუნებული, 1968 წლის იანვარში მოვიდა იგი ამიერკავკასიის ჰიდროენერგეტიკული გიგანტის — ენგურჰესის მშენებლობაზე და სურვილი გამოთქვა გვირაბგამყვანის პროფესიას დაუფლებოდა. შუქრი რესპუბლიკაში ცნობილი გვირაბგამყვანის ვ. აბესაძის ბრიგადაში მიიღეს. სიცოცხლით სავსე, კუნთმაგარი, ახოვანი ჭაბუკი მიწისქვეშა ქანებს შეება. მოკლე დროში იგი საფუძვლიანად დაეუფლა გვირაბგამყვანის საქმეს და იმავე წლის ოქტომბერში, მეხუთეუბნელებმა, რომლებთანაც შუქრი მუშაობდა, პატარა კვეთის გვირაბის გაყვანაში რესპუბლიკური რეკორდი დაამყარეს.

1969 წელს შ. აბაკელია გვირაბგამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელად დააწინაურეს. სწორედ აქ გამოიჩინა მან თავი, როგორც მტკიცე ხასიათის, დისციპლინიანმა, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებულმა ადამიანმა.

ბრიგადა საწარმოო დავალებებს ხარისხიანად და დიდი გადაჭარბებით ასრულებს. ბრიგადირი მაგალითის მაჩვენებელია თავმდაბლობით, საქმისადმი პრინციპული მიდგომით, ამხანაგებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით.

შუქრი აბაკელიას სპორტული ბიოგრაფია კი ასეთია: იგი ჯერ კიდევ მშობლიური სოფლის ოქტომბრის საშუალო სკოლაში ეზიარა თავისუფალ ჭიდაობას. სკოლაში პირველ ფალავნად ითვლებოდა. შემდეგ რამდენიმეჯერ რაიონის პირველობაშიც მოსინჯა ძალა და აქაც წარმატებას მიაღწია. 1964 წელს საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს და მაშინვე სამბოში დაიწყო მეცადინეობა სპორტის ოსტატ ა. დოლბაჩოვის ხელმძღვანელობით. პირველ წარმატებას იმავე წელს მიაღწია ურალის სამხედრო ოლქის პირველობაში, სადაც მძიმე წონაში შენაერთის ჩემპიონი გახდა. მომდევნო წელს პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა, 1966 წელს რსფსრ-ს პირველობაში V ადგილი დაიკავა, 1967 წელს კი შეიარაღებული ძალების საკავშირო ჩემპიონატში III საპრიზო ადგილი დაისაკუთრა და სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა.

აბაკელია ენგურჰესის მშენებლობის ტრადიციული სპარტაკიადის სამგზის ჩემპიონია.

კ. ფიფია.

ზუგდიდი.

# მწვრთნელები მიუნქენს უმიზნებენ

ეს ამბავი ლიუბლიანაში გავიგე, კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში. ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს ჟურნალისტებთან საუბარში წამოცდა, მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში ამერიკელთა დღევანდელი გუნდის არც ერთი წევრი არ ითამაშებსო. ასეთმა კატეგორიულმა განცხადებამ ყველას ცნობისმოყვარეობის სალერღელი აგვიშალა და მწვრთნელს, ბუნებრივია, შეკითხვები დავაყარეთ.

ამერიკელი სიტყვაუხვი გამოდგა და საკმაოდ საინტერესო ამბავი გვიამბო.

თურმე, ამერიკის კალათბურთის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს 17-18 წლის ახალგაზრდებისგან შეექმნათ ოლიმპიური ნაკრები, რომელიც მიუნხენამდე დარჩენილი 4 წლის მანძილზე ცალკე გუნდად იარსებებს. ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს თანამედროვე კალათბურთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სპეციალისტი მ. აიბა, რომელიც უკვე შეუდგა საქმიანობას. აიბამ სამი თანაშემწე აირჩია, რომლებსაც დაევალათ აშშ-ს მთელს ტერიტორიაზე ახალგაზრდა ტალანტთა აღმოჩენა.

გუნდი, რომელიც სსრ კავშირს სათამაშოდ ეწვია, აიბას მომავალი ნაკრების ერთი ნაწილია. მწვრთნელმა (იგი საკმაოდ მოხუცებულია და შორეულ მგზავრობას ერიდება) თავის თანაშემწეებს დაავალა ახალგაზრდების ყოველმხრივ შემოწმება და მათზე ვრცელი ინფორმაციის შეკრება.

ერთი სიტყვით, მიუნხენის მომავალი გუნდი ნელნელა ფეხს იდგამს, ძალას ცდის. კმაყოფილი არიან თუ არა მწვრთნელები თავიანთი არჩევანით, ჯერ არავინ იცის, მაგრამ მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში ორი მატჩის მოგება უკვე რაღაცას უნდა ნიშნავდეს. დიახ, ამერიკელებმა უკვე ორჯერ დატოვეს მოედანი გამარჯვებულებმა: პირველ დღეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს მოუგეს (80:55), მეორე დღეს კი სსრ კავშირის ახალგაზრდულ გუნდს — 77:70 (39:33). ორივე შეხვედრაში თავი გამოიჩინა 20 წლის ზანგმა ი. ირვინგმა.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრების შემადგენლობაში არ თამაშობს ლიუბლიანის მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი ბომბარდირი ი. ზიდეკი (იქ მან სნაიპერთა შორის 122 ქულით I ადგილი დაიკავა და მთელი 20 ქულით გაუსწრო II ადგილზე გასულ იუგოსლაველ კ. ჩოსიჩს). მოსკოვში არც გამოცდილი ცენტრალური თავდამსხმელი ი. ბობროვსკი ჩამოსულა. მათი ადგილები გუნდში ახალგაზრდებმა დაიკავეს, რომლებსაც ჯერ კიდევ აკლიათ გამოცდილება. სწორედ ამის მიზეზია, რომ ჩეხოსლოვაკიის გუნდი მოსკოვის ტურნირში წარუმატებლად თამაშობს (მან უკვე ორი შეხვედრა წააგო: ამერიკელებთან და სსრ კავშირის კლუბების ნაკრებთან — 68:109).

ახლა ორიოდე სიტყვა სსრ კავშირის ოლიმპიურ გუნდზე. „ლელოს" მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამ გუნდში უფროსი მწვრთნელის პოსტი ლენინგრადის „სპარტაკის" მწვრთნელმა ვ. კონდრაშინმა ჩაიბარა. ახალმა ხელმძღვანელმა ნაკრების შემადგენლობა განაახლა. ლიუბლიანის ჩემპიონატის 6 მონაწილე (საკანდელიძე, ზახტუხოვი, ს. კოვალენკო, ანდრეევი, სიდიაკინი, ლიპსო) შეცვალა ახალგაზრდა კალათბურთელებით (ე. კოვალენკო, ედეშკო, ფიოდოროვი, ბოლშაკოვი, ლ. ივანოვი, ტამისტე). ახლა სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში 4 ლენინგრადის სპარტაკელია, 2 — მოსკოვის არმიელი, 8 — ტალინელი კალათბურთელი და თითო სპორტსმენი მოსკოვის „დინამოდან", მინსკიდან და ტაშკენტიდან.

სანახევროდ განახლებულმა გუნდმა უკვე ორი მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა: ერთი — სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებთან (104:83) და მეორე — ჩეხოსლოვაკიელებთან (109:68).

ნ. გუგუშვილი.

* * *

გუშინ გვიან საღამოს გაიმართა ტურნირის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი აშშ-სა და სსრ კავშირის ოლიმპიურ გუნდებს შორის (გუშინდელი შეხვედრების შედეგები ცხრილში ვერ შევიტანეთ).

## გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 2 | 2 | 0 | 213—151 | 2 |
| აშშ | 2 | 2 | 0 | 157—125 | 2 |
| სსრ კავშირი (ახალგაზრდ.) | 2 | 0 | 2 | 153—181 | 0 |
| ჩეხოსლოვაკია | 2 | 0 | 2 | 123—189 | 0 |

## სსრ კავშირის პირველობა




ტაშკენტი. „ფახთაქორის" სტადიონი. 17 აგვისტო.

„ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „დინამო" (თბილისი) 2:1 (0:0).

„ფახთაქორი": ლიუბარცევი, დოცენკო, ინოიატოვი, ტურგუნოვი, პეტუხოვი, ციბინი, პატრიკეევი, ისაკოვი, აბდურაიმოვი, სოლოხო, როდიონოვი.

„დინამო": სტეფანია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, მაჩაიძე.

მსაჯი თ. ველიევი (ბაქო).

დუბლიორები — 2:0 „დინამოს" სასარგებლოდ.

# მეოთხე წაგება

ამ მატჩამდე თბილისის „დინამოს" საუკეთესო პოტენციური შესაძლებლობანი ჰქონდა (ყველაზე ნაკლები დაკარგული ქულა), „ფახთაქორი" კი ცხრილის ქვემო ნახევარშია და მხოლოდ იმისთვის იბრძვის, რომ თავი დააღწიოს აუტსაიდერთა რიგებს. ესე იგი ერთმანეთს ხვდებოდნენ ერთის მხრივ, ჩემპიონობის პრეტენდენტი, ხოლო მეორეს მხრივ — უმაღლესი ლიგიდან განდევნის კანდიდატი და აი, ძალთა ასეთი შეფარდება გადაწყდა აუტსაიდერის სასარგებლოდ და თბილისელებმა რიგით მეოთხე ნული ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში.

აღსანიშნავია, რომ თბილისის „დინამოს" ყველა ეს წაგება იმ გუნდებთან აქვს განცდილი, რომლებიც მისი უშუალო მეტოქეები არ არიან საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში.

პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია. განახლდა თუ არა თამაში, ტაშკენტელთა მარცხენა გარემარბმა [illegible]მა ანგარიში გახსნა. საპასუხო გოლის გატანა სულ მალე შეძლო ნოდიამ და უკვე მაშინ, როცა „ჩაერთო" მატჩის ბოლო წუთი, ტაშკენტელებმა თავიანთი ერთ-ერთი იერიში დაამთავრეს იმავე როდიონოვის მიერ გატანილი მეორე გოლით.

ა. ახმადულოვი.
(ტელეფონით).

## შედეგები, გოლები, ქულები

გუშინწინ გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

დამაჯერებლად ითამაშეს მოსკოვის სპარტაკელებმა, რომლებმაც შინ ანგარიშით 3:0 დაამარცხეს „ზენიტი". პირველი ბურთის ავტორი იყო კალინოვი, მომდევნოებისა — პროსკურინი და ჰუსაინოვი.

6 გოლი იქნა გატანილი როსტოვის არმიელთა გუნდის შეხვედრაში მოსკოვის „ტორპედოსთან", ამასთან თანაბრად — 3-3 ყოველ კარში. მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს ბონდარენკომ, ესკოვმა (პენალტით) და მირონოვმა, ხოლო სტუმართაგან — სავჩენკომ, იურინმა და იანეცმა.

მინსკში დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა ადგილობრივი და მოსკოვის „დინამოს" თანაკლუბელთა მატჩი. მასპინძელთა მიერ გატანილი ბურთი (გლებოვი) გაქვითა მასლოვმა — 1:1.

ერთადერთმა ბურთმა გადაწყვიტა „ნევთჩისა" და ორჯონიკიძის „სპარტაკის" შეხვედრის ბედი. იგი გაიტანა ბაქოელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბანიშევსკიმ — 1:0.

ცსკა-მ ერევანში შეძლო „არარატის" დამარცხება. ფედოტოვისა და კოპეიკინის ორ გოლს ერევნელებმა (ბონდარენკო) მხოლოდ ერთით უპასუხეს.

ანგარიში არ გახსნილა კიევში, იქაური „დინამოსა" და „ზარიას" შეხვედრაში, თუმცა სტუმრები რამდენიმეჯერ ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან. ბურთი ორჯერ მოხვდა კიეველთა კარის ძელს და, რაც მთავარია, საბომ ვერ გაიტანა პენალტი.

გადატანილია „შახტიორისა" და „ჩერნომორეცის" მატჩი.

* * *

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერებს კვლავინდებურად ლიდერობს მოსკოვის „დინამოს" თავდამსხმელი ვ. კოზლოვი — 12 გოლი. თბილისელი გ. ნოდიასა და მოსკოვის სპარტაკელ გ. ჰუსაინოვის ანგარიშზეა 10-10 ბურთი.

## „ა" კლასი. I ჯგუფი

16 აგვისტოს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები. თბილისის „ლოკომოტივმა" კუიბიშევში წააგო „კრილია სოვეტოვთან" — 0:2.

## „ა" კლასი. II ჯგუფი

### II ზონა

16 აგვისტოს გაიმართა მორიგი მატჩები: „ვოლგა (კალინინი) — „ტორპედო" (ტაგანროგი) 0:0. „შინიკი" (იაროსლავლი) — „სტალი" (ვოლგოგრადი) 3:1, „სატურნი" (რიბინსკი) — „დინამო" (სტავროპოლი) 0:0, „ტრუდი" (ვორონეჟი) — „დინამო" (მახაჩყალა) 1:0, „მეტალურგი" (ლიპეცკი) — „დინამო" (კიროვაბადი) 1:0, „სალუტი" (ბელგოროდი) — „ფოლადი" (სუმგაითი) 1:0, „შირაკი" (ლენინაკანი) — „მაშუკი" (პიატიგორსკი) 1:1, „ვოლგა" (გორკი) — „ლოკომოტივი" (კალუგა) 1:1, „მეტალურგი" (ტულა) — „დინამო" (ბრიანსკი) 10:0.

## „ბ" კლასი

### II ზონის I ქვეჯგუფი

15 აგვისტო. „გურია" (ლანჩხუთი) — „მეშახტე" (ტყიბული) 0:0, „მერცხალი" (მახარაძე) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 3:1, „კოლხეთი" (ფოთი) — „სულორი" (ვანი) 3:0, „ალაზანი" (გურჯაანი) — „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი) 3:3, „კახეთი" (თელავი) — „ორბიტა" (ბელაია კალიტვა) 1:0, „დინამო" (სოხუმი) — „სპარტაკი" (რიაზანი) 0:0, „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) — „სპარტაკი" (ტამბოვი) 4:1, „ტორპედო" (ეისკი) — „სპარტაკი" (სარანსკი) 1:1.

მოგვყავს 11 აგვისტოს ტურის შედეგები, რომლებიც ჩვენს გაზეთში არ იყო გამოქვეყნებული: „მერცხალი" (მახარაძე) — „მეშახტე" (ტყიბული) 3:0, „კოლხეთი" (ფოთი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 3:1, „გურია" (ლანჩხუთი) — „სულორი" (ვანი) 3:0, „კახეთი" (თელავი) — „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი) 2:1, „ალაზანი" (გურჯაანი) — „მეტალურგი" (კრასნი სულინი) 1:0, „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) — „სპარტაკი" (რიაზანი) 0:1, „ტორპედო" (ეისკი) — „სპარტაკი" (ტამბოვი) 3:0, „დინამო" (სოხუმი) — „სპარტაკი" (სარანსკი) 0:1.

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 19 აგვისტოსთვის

### „ა" კლასის II ჯგუფის II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) | 25 | 13 | 9 | 3 | 30—6 | 35 |
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 25 | 12 | 10 | 3 | 32—15 | 34 |
| „მეტალურგი" (ტულა) | 25 | 12 | 7 | 6 | 47—21 | 31 |
| „ვოლგა" (კალინინი) | 25 | 11 | 8 | 6 | 31—20 | 30 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 25 | 10 | 10 | 5 | 29—23 | 30 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 25 | 10 | 10 | 5 | 25—24 | 30 |
| „ლოკომოტივი" (კალუგა) | 25 | 9 | 10 | 6 | 27—30 | 28 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 25 | 8 | 11 | 6 | 25—24 | 27 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 24 | 10 | 6 | 8 | 26—23 | 26 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 25 | 7 | 11 | 7 | 27—25 | 25 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 25 | 9 | 7 | 9 | 29—30 | 25 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 24 | 10 | 4 | 10 | 30—22 | 24 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 25 | 9 | 6 | 10 | 32—29 | 24 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 24 | 9 | 6 | 9 | 21—22 | 24 |
| „ვოლგა" (გორკი) | 25 | 7 | 8 | 10 | 25—28 | 22 |
| „დილა" (გორი) | 25 | 8 | 6 | 11 | 31—35 | 22 |
| „დინამო" (ბათუმი) | 24 | 8 | 6 | 10 | 19—26 | 22 |
| „სტალი" (ვოლგოგრადი) | 25 | 5 | 11 | 9 | 23—26 | 21 |
| „სატურნი" (რიბინსკი) | 25 | 5 | 11 | 9 | 19—33 | 21 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 25 | 6 | 6 | 13 | 23—36 | 18 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 25 | 3 | 8 | 14 | 12—30 | 14 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 25 | 2 | 9 | 14 | 14—49 | 13 |

### „ბ" კლასის II ზონის I ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 20 | 11 | 6 | 3 | 27—13 | 28 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 20 | 11 | 4 | 5 | 32—19 | 26 |
| „სპარტაკი" (რიაზანი) | 20 | 10 | 5 | 5 | 30—17 | 25 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 20 | 7 | 11 | 2 | 26—14 | 25 |
| „ტორპედო" (ეისკი) | 20 | 8 | 7 | 5 | 30—17 | 23 |
| „სპარტაკი" (სარანსკი) | 20 | 7 | 9 | 4 | 19—14 | 23 |
| „კახეთი" (თელავი) | 20 | 10 | 3 | 7 | 29—27 | 23 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 20 | 8 | 6 | 6 | 31—17 | 22 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 20 | 5 | 11 | 4 | 16—15 | 21 |
| „მეტალურგი" (კრასნი სულინი) | 20 | 7 | 5 | 8 | 13—16 | 19 |
| „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი) | 20 | 5 | 8 | 7 | 26—25 | 18 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 20 | 4 | 10 | 6 | 17—19 | 18 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 20 | 7 | 4 | 9 | 20—38 | 18 |
| „დინამო" (სოხუმი) | 20 | 5 | 6 | 9 | 18—23 | 16 |
| „ორბიტა" (ბელაია კალიტვა) | 20 | 4 | 7 | 9 | 13—20 | 15 |
| „სულორი" (ვანი) | 20 | 5 | 4 | 11 | 18—39 | 14 |
| „სპარტაკი" (ტამბოვი) | 20 | 3 | 7 | 10 | 11—25 | 13 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 20 | 4 | 5 | 11 | 19—37 | 13 |

# დაძაბულ ბრძოლაში

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 17 აგვისტო.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „პროგრესი" (ბუქარესტი) 2:2 (1:0).

„ტორპედო": გოგია (ბუილიშვილი), აბზიანიძე, წვერავა, ჰოხონელიძე, შერგელაშვილი, ოქროპირაშვილი, ერქომაიშვილი (ანფიმიადი), ხანაია, ჩიტაური, ხერხაძე, ქიქავა.

„პროგრესი": ანტა, მოტოკი, მენდოიუ, დუბრავა, ფილიპესკუ, გრანა, რაკში, დუდუ, ბელგენუ, მადეი, იონესკუ.

მსაჯი ვ. მარტინოვი (მოსკოვი).

ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ქუთაისისა და რუმინეთის ფეხბურთელთა შორის პირველივე წუთებიდან დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. 44 წუთი გავიდა ისე, რომ ანგარიში არ გახსნილა და უკვე მაშინ, როცა მსაჯს უნდა გაეთავებინა ტაიმი, სანაიამ შეძლო მეტოქის კარის აღება.

ეს გოლი „პროგრესმა" გაქვითა 67-ე წუთზე (იონესკუ). 74-ე წუთზე ქუთაისელები ერთხელ კიდევ დაწინაურდნენ ხერხაძე — ქიქავას მიერ გათამაშებული კომბინაციის შემდეგ, მაგრამ მატჩის დასასრულს რუმინელებმა კვლავ აღადგინეს თანაფარდობა (ბელგენუ).

აღსანიშნავია, რომ სტუმრები ხშირად უხეშობდნენ და ეკამათებოდნენ მსაჯს.

შ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## უმაღლესი ჯგუფი. „ა" კლასი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 21 | 10 | 8 | 3 | 35—16 | 28 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 20 | 11 | 5 | 4 | 28—12 | 27 |
| „დინამო" (თბილისი) | 19 | 10 | 5 | 4 | 28—14 | 25 |
| „დინამო" (კიევი) | 20 | 10 | 4 | 6 | 21—15 | 24 |
| ცსკა | 19 | 10 | 3 | 6 | 27—13 | 23 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 19 | 8 | 7 | 4 | 21—17 | 23 |
| სკა (დონის როსტოვი) | 20 | 5 | 12 | 3 | 16—13 | 22 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 20 | 7 | 8 | 5 | 16—17 | 22 |
| „ნევთჩი" (ბაქო) | 20 | 6 | 8 | 6 | 18—14 | 20 |
| „არარატი" (ერევანი) | 20 | 8 | 4 | 8 | 19—21 | 20 |
| „დინამო" (მინსკი) | 20 | 6 | 7 | 7 | 23—20 | 19 |
| „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 20 | 5 | 7 | 8 | 18—29 | 17 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 19 | 5 | 5 | 9 | 17—34 | 15 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 20 | 3 | 8 | 9 | 12—20 | 14 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 18 | 3 | 6 | 9 | 10—21 | 12 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 19 | 4 | 4 | 11 | 16—31 | 12 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 20 | 3 | 5 | 12 | 18—31 | 11 |

# პრეტენდენტთა წრე შევიწროვდა

დნეპროპეტროვსკსა და კალინინგრადში გრძელდება მოჭადრაკეთა შეჯიბრება სსრ კავშირის თასებზე. უკან დარჩა მესამე ეტაპი.

დნეპროპეტროვსკში, სადაც მოჭადრაკე ვაჟები თამაშობენ, მეოთხე ეტაპის საგზურები მიიღეს დიდოსტატებმა მ. ტალმა (თბილისი), დ. ბრონშტეინმა (მოსკოვი) და ა. ლუტიკოვმა (ტირასპოლი), ოსტატებმა ვ. სავონმა (ხარკოვი), ბ. კატალიმოვმა (ალმა-ათა), ა. შმიტმა (რიგა), ვ. ფაიბისოვიჩმა (ლენინგრადი) და ლ. ალბურტმა (ოდესა).

თბილისელები ე. გუფელდი და ს. ჩეჩელიანი მესამე ეტაპზე ბრძოლას გამოეთიშნენ: გუფელდი ტალთან, ხოლო ჩეჩელიანი სავონთან შეხვედრების შემდეგ.

წილისყრით მეოთხე წრეში მოჭადრაკენი ასე დაწყვილდნენ: ტალი — სავონი, ბრონშტეინი — კატალიმოვი, ლუტიკოვი—ალბურტი და ფაიბისოვიჩი — შმიტი.

ოთხი გამარჯვებული ნახევარფინალში გავა. ნახევარფინალური და ფინალური მატჩები გაიმართება მოსკოვში, 1-13 ოქტომბერს.

კალინინგრადში, სადაც საპატიო ჯილდოსთვის მოჭადრაკე ქალები იბრძვიან, მესამე წრეში შეჯიბრებას გამოეთიშა თბილისელი ე. კაკაბაძე, ხოლო მეორე თბილისელი ნ. ჩიქოვანი მეოთხე წრეში გავიდა. მის გარდა მეოთხედფინალურ მატჩებში მონაწილეობის უფლება მოიხვეჭეს ოსტატებმა მ. რანიკუმ (ტალინი), ტ. ლემაჩკომ და ნ. მედიანიკოვამ (ორივე — მოსკოვი), ო. ანდრეევამ (ხარკოვი), ა. კისლოვამ (ომსკი), თ. გოლოვეიმ (მინსკი) და პირველთანრიგოსანმა ნ. გორდონმა (ოდესა).

# მეტროლოგების პირველი საკავშირო...

ამას წინათ ხარკოვში ჩატარდა სახელმწიფო სტანდარტების კომიტეტის პირველი სპარტაკიადის ფინალი, რომელშიც 7 გუნდი (მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, ამიერკავკასიის, ბალტიისპირეთისა და შუა აზიის რესპუბლიკების) მონაწილეობდა. პროგრამაში იყო მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიის სროლა, რიყაობა, ფრენბურთი (ქალთა და ვაჟთა), ჭადრაკი და შაში.

ფინალურ თამაშებს წინ უსწრებდა ზონალური ტურნირები. ერევნისა და ბაქოს კოლექტივებმა ამიერკავკასიის ზონალურ სპარტაკიადაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს, რის გამოც ფინალში თამაშის უფლება უბრძოლველად მიიღო მენდელეევის სახელობის მეტროლოგიის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის კოლექტივმა. სპარტაკიადის დებულებით, ფინალურ თამაშებში გამსვლის უფლება ჰქონდათ სულ ცოტა I თანრიგის სპორტსმენებს, ამიტომ თბილისელებმა სპორტის ყველა სახეობაში გუნდის დაკომპლექტება ვერ შეძლეს. ფინალურ თამაშებში მათ ასეთი შედეგები მოიპოვეს: მაგიდის ჩოგბურთში, ტყვიის სროლაში, ფრენბურთში (ვაჟები) — III ადგილები, შაშში — IV, ჭადრაკში — VI.

საერთო გუნდურ ჩათვლაში სტანდარტების კომიტეტის I სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ უკრაინის წარმომადგენლები, რომელთა გუნდშიც ბევრი სპორტის ოსტატი იყო. II ადგილი წილად ხვდათ მოსკოველებს, III — ბელორუსიის სპორტსმენებს. თბილისელი მეტროლოგები VI ადგილზე გავიდნენ, მათ იმდენივე საჯარიმო ქულა დაუგროვდათ, რამდენიც ლენინგრადელებს, მაგრამ ამ უკანასკნელთ საპრიზო ადგილების უკეთესი ბალანსი აღმოაჩნდათ.

თბილისელებმა 23 ფიზკულტურულ კოლექტივს შორის ტყვიის სროლაში I ადგილი და თასი მოიპოვეს. მაგიდის ჩოგბურთში ისინი II ადგილზე გავიდნენ, შაშში — IV.

ვ. ზოზიაშვილი,
ინჟინერ-კონსტრუქტორი, შეჯიბრების მონაწილე.

# მეჯუდისპირელი მოასპარეზენი

## დასტა გვიხმობს

ძნელია მეჯუდისპირა სოფელში მოხვდე და იქაური ძველი ფალავნები არ გაიხსენო. მათი მოგონების სადღეგრძელოს თავად მეჯვრისხეველები აგიშლიან.

კვირადღეა. მამაპაპური კაკლის ჩრდილქვეშ ზურნა ახმიანდა. „საჭიდაოს" ნაცნობი მელოდია სოფლის განაპირა კუთხეებსაც მისწვდა. ხალხი დაიძრა. მიმზიდველობის ძალა აქვს ხალხური საკრავების ჰანგებს.

— ალექსი ლიჩელის დასტა გვიხმობს, — მითხრა მეჯვრისხეველმა ჭაბუკმა ზაურ ზუმბულიძემ და სარბიელზე დამპატიჟა.

რამდენიმე წუთის შემდეგ წენგოსფერ ჩარდახქვეშ, გრძელ მერხზე მოვიკალათეთ. ჭიდაობა დაიწყო. ასპარეზობენ ჩამოსულნი და მასპინძლები. ნახერხით მოფენილ საჭიდაო სარბიელზე მეჯვრისხეველები მრავალგზის შერკინებიან გორელებს და ახლომახლო სოფლების წარმომადგენლებს, თბილისელებს და გლდანელებს, საგარეჯოელებს და ცხინვალელებს, ზნაურელებს და სამგორელებს...

ტრადიციული შეხვედრების ეშხი და სიტკბო. იმარჯვებენ თანასოფლელი მოჭიდავენი და მაყურებელს სიხარულის ტალღა გადაუვლის. წაბორძიკებულს ამხნევებენ და წარმატების რწმენას უნერგავენ. მეჯვრისხეველები თავისებურ, ლამაზ, დახვეწილ ილეთებს ფლობენ. შემტევია მათი სტილი. შესაძლოა, ამის გამო სიტყვა „მეჯვრისხეველი" ჭიდაობაში გამარჯვების სინონიმად გვსმენია ხშირად. მეჯვრისხევს ხომ ბლომად ჰყავდა „ოქროს ფალავნები".

## ძველ მორკინალთა გახსენება

ერთ მათგანს გულთბილი სტრიქონებით უმღერა იეთიმ გურჯმა.

> მეჯვრისხეველ იოსებას
> დასჭირდება ქებაო,
> ამ ჩვენ გლდანელ მიტოსაც
> კვლავ წრე მოუხდებაო...

ძნელი მისახვედრი როდია, რომ ქებაშესხმულ იოსებში თბილისელი მგოსანი განთქმულ ფალავან ურიგაშვილს გულისხმობდა. მოღიღინე ლექსის ავტორს მისი ჭიდაობა თბილისშიც უნახავს, გორშიც და მეჯვრისხევშიც. იგი ისევე გულმხურვალედ უყვარდა იეთიმ გურჯს, როგორც საერთოდ ქართული ჭიდაობა. სამგზის ოქროს მედალოსან იოსებ ურიგაშვილის გარდა სოფელი ტაშს უკრავდა სოგრა ტატიაშვილს (რომელიც სოგრა მეჯვრისხეველის სახელით არის ცნობილი), ვახტანგ ნასყიდაშვილს, გიორგი ძაგანელს, ციფნა მეჯვრისხეველს...

სოგრა ტატიაშვილი დიდ საჭიდაო სარბიელს ურიგაშვილმა აზიარა, ჩამოიყვანა თბილისში და საუკეთესო ფალავნებს შეახვედრა. იოსებს იმედი გაუმართლა. არც ეს იყო საკვირველი. თბილისში ჩამოსვლამდე სოგრას გავლილი ჰქონდა ორთაბრძოლების მძიმე გზა. თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა მისი პირველი საჯარო გამოსვლიდან და დღესაც კარგად ახსოვს იმ ჭიდილის შედეგი — თუ როგორ იძია შური ძმის წაქცევის გამო და მეტოქე ბეჭებზე დასცა. ლაზათიანად ჩაიწერა აგრეთვე სოგრა ტატიაშვილის 1933 წლის უკანასკნელი შერკინება: სამ ვაჟკაცს შეება და სამივე შეუსვენებლივ ზედიზედ წააქცია.

მოხუცებულობის ჟამს მას, ისევე როგორც დიდუბეში მცხოვრებ პენსიონერ გიორგი ძაგანელს, კვლავ გული მიუწევს წრისკენ, ამჯერად, როგორც მაყურებელსა და უხუცეს განმსჯელს.

გიორგი რკინიგზის საქონლის სადგურში შრომობდა. ახლაც დღეგრძელობენ წარსულის მოწმენი. ყოფილი მტვირთავი წარბს არ შეიხრიდა ოცფუთიანი სიმძიმის ზიდვისას! რვაათეული წლის ნაფალავნარს კარგად ახსოვს ფიცხელი, მოხდენილი მოჭიდავენი — ძმები ნასყიდა და ვასილ გოგიაშვილები.

— უსანეთობის დღეობაზე, — გაიხსენა პირველის ქალიშვილმა ვერა გოგიაშვილმა, — ჩვენს ოჯახს ბევრი საპატიო სტუმრისთვის გაუწევია მასპინძლობა. მათ შორის, იეთიმ გურჯის გარდა, შემიძლია დავასახელო სანდრო კანდელაკი, იოსებ ცერაძე, კოსტა მაისურაძე, იოსებ ურიგაშვილი, მიხეილ ქურხული და სოგრა ტატიაშვილი. შემოუსხდებოდნენ ხოლმე ლურჯ სუფრას და შინაარსიან სჯა-ბაასსა თუ მოსწრებულ ხუმრობაში ატარებდნენ დროს. გაისმოდა სადღეგრძელოები და ხალხურ საკრავსაც აახმიანებდა გასო რაზმაძე. ერთხელ ღვინით დალოცვისას მესტვირე დოდე გოგიაშვილმა იოსებ ცერაძეს მიმართა:

> უბედურო ცერაძეო,
> რა გინდოდა სცენაზეო,
> არ იცოდი, წაგაქცევდა
> კოსტა მაისურაძეო!

იოსები ხარხარებდა. კოსტას ხსენებამ კი ვერა გოგიაშვილს ერთი საინტერესო ფაქტი გაახსენა. მათი სახლის ძელზე ამოკვეთილი იყო ლექსი:

> ეს რკინა ისე დაგრიხა,
> ვით მოზელილი თასმაო,
> მაყურებლები გავკვირდით,
> უყურეთ, კოსტამ რა ჰქნაო!

მეჯვრისხეველები და მათი სტუმრები სხვა ლექსებისა თუ შაირების გმირებიც იყვნენ. მეჯუდისპირელ ძველ მოჭიდავეთა ოჯახებს შორის ტიპიურად უნდა ჩაითვალოს ნასყიდაშვილების კერა, რომელმაც სარბიელის მორკინალთა სამი თაობა გამოზარდა. ფალავანთა დინასტიის ფუძემდებელია გიორგი (კუწულა), რომელმაც ერთ დღეს გორში 9 ვაჟკაცი დასცა. ლეგენდის სადარია სოფლად განაგონი: გიორგისა და მის შერთულელ ძმადნაფიცს ძევერელი ასული ჰყვარებიათ, შეთანხმებულან — ორთაბრძოლაში გამარჯვებულს შეერთო ცოლად და ეს რაინდული უფლება გიორგის მოუხვეჭია. მის შთამომავალს ვახტანგ ნასყიდაშვილს სპეციალური თავი უძღვნა ილო ალაზნელმა წიგნში „შესართავული ფალავნები".

ვახტანგს მრავალგზის მოუპოვებია საქართველოს ჩემპიონის ტიტული და ეს მაგალითიც მკაფიოდ ახასიათებს მის სპორტულ წარსულს.

## ჩვენი თანამედროვენი

სარბიელზე გამოვიდა ვახტანგის ვაჟი მერაბი. ფალავანმა შეხვედრა მკვირცხლად და ლამაზად ჩაატარა. წინაპართა ნაკვალევით მოპოვებული ალალი წარმატებაა!

მერაბს მხარს უბამენ შოთა გურგენიძე და სხვა ცნობილი სპორტსმენები. შოთამ ახლახან სპორტის ოსტატის წოდება მოიხვეჭა და ამჟამად ფიზკულტურელთა ახალ კადრებს ზრდის მეჯვრისხევში. ბოლო ორ წელიწადში საჭიდაო სარბიელზე დაწინაურდნენ ახალგაზრდები: ივანე ჩიტიაშვილი, მერაბ ბეგიაშვილი, გურამ გენგიური, რონ გოგინაშვილი. მათი ზოგიერთი თანასოფლელის მოღვაწეობა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებსაც გასცდა. მეჯვრისხეველი სპორტსმენი ნასყიდა ილურიძე საბჭოთა კავშირის შორეულ მხარეში ფეხბურთელთა გუნდის მეკარეა!

სოფლად ფიზკულტურული საქმიანობის გაშლა-გაფართოებას ჯეროვან ყურადღებას აქცევს კოლმეურნეობის გამგეობა. სექციების მუშაობის გამოცოცხლებას ხელი შეუწყო საკოლმეურნეო სპორტული ბაზის აშენებამ. ახლო მომავალში დარბაზის აგებასა და ხელბურთის მოედნის მოწყობასაც ფიქრობენ. კოლმეურნეობაში ჰყავთ ფეხბურთის, ჭიდაობის, ფრენბურთისა და კალათბურთის გუნდები. ფიზკულტურული მუშაობის მასობრიობაში საგულისხმო წვლილი შეიტანეს სპორტის ენთუზიასტებმა გიორგი სუხიშვილმა და ქართლოს ხომასურიძემ, რომლებმაც ყოველმხრივ შეუწყვეს ხელი მეჯვრისხევის სპორტული დიდების აღზევებას.

ი. ჯავახიშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფ. მეჯვრისხევი,
გორის რაიონი.



იოსებ ურიგაშვილი



სოგრა ტატიაშვილი



გიორგი ძაგანელი



ნასყიდა გოგიაშვილი
(მარჯვნივ)



ს უ რ ა თ ზ ე: უფროსი ასაკის ცხენებით სამჭიდში სსრ კავშირის ჩემპიონი ა. ზუევი (მოსკოვის „დინამო") დაბრკოლების გადალახვის დროს.
ვ. უნ და-სინის ფოტო (საკდესი).

ფოტოინფორმაცია



ამას წინათ მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა მძლეოსანთა ჩემპიონატი. ამ სურათზე თქვენ ხედავთ 200 მეტრზე თარჯრბენში გამარჯვებულს, ლენინგრადის ბურევესტნიკელ მ. ნიკიფოროვას (მარჯვნივ), რომელმაც ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა მოზრდილებისთვის — 26,6.

ვ. უნ და-სინის ფოტო (საკდესი).

## 20 წ

◆ **დიუსელდორფი,** 18 აგვისტო. დევისის თასის ინტერნაციონალური ზონის ფინალურ მატჩში გფრ-ის ჩოგბურთელებმა სძლიეს ესპანეთის წარმომადგენლებს — 4:1. ახლა გერმანელი სპორტსმენები შეხვდებიან თასის ამჟამინდელ მფლობელებს — აშშ-ს ჩოგბურთელებს. დასკვნითი მატჩი გაიმართება ამერიკის ქალაქ კლივლენდში.

◆ **ქაბული,** 18 აგვისტო. 2000 მრბოლელი 1000 მანქანით მონაწილეობს რალიში პარიზი—ქაბული—პარიზი. შეჯიბრების ორგანიზატორია ფრანგული ფირმა „სიტროენი". ავტომრბოლელებმა გაიარეს ავღანეთის დედაქალაქი და უკან ბრუნდებიან.

რედაქტორი ე. პაპაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. (1) უე 05721